პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი.

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

22 ივლისი
პარასკევი
1919. გამოქვეყნებულია ამხ. ლენინის მოწოდება კალმიკის ხალხისადმი, რომელიც შეიცავს რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას. მოწოდება თავდება სიტყვებით: „ძმებო კალმიკებო; თქვენი ხალხის ბედი თქვენსავე ხელშია.“

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის №
საერთო №

გაზეთის დაკვეთა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4,
ტელეფონი №

დღიური:

რევკომმა დაადგინა, შექმნას უმაღლესი სასურსათო თათბირი, რომელიც გააერთიანებს და [illegible] ლებს ყველა სასურსათო ორგანოებს. [illegible]

სტამბოლის ბაზარზე დაგროვილ [illegible] საქონელი; ფასი თანდათან ეცემა.

№ 115 პარასკევი, 22 ივლისი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 22 ივლისი, 1921 წ. № 115

საორგანიზაციო კომისია

ჩამოყალიბებული „პარტიის განმტკიცების ორკვირეულის“ აცხადებს, რომ პარასკევს, 22 ივლისს ყველა რაიონებში შესდგება საერთო პარტიული კრებები თემაზე:

„კომუნისტური პარტიის მორიგი მიზნები“.

1. რაიონი	თ. ნაძალადევი	მომხსენებელი:	ამხ. ორჯონიკიძე.
2. „	ცენტრ. კლუბი	„	ამხ. ორახელაშვილი.
3. „	ავლაბრის კლუბი	„	
4. „	სატირ-აგიტი	„	ამხ. ლეგრანისა.
5. „	მუსლიმანთა აუდიტორია		ამხ. რუბენისა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

საორგანიზაციო კომისია

ჩამოყალიბებული „პარტიის განმტკიცების ორკვირეულის“ აცხადებს, რომ შაბათს, 23 ივლისს ყველა რაიონებში შესდგება საერთო პარტიული კრებები თემაზე: „პარტია და საბჭოთა ხელისუფლება“.

1. რაიონი	ნაძალადევის თეატრი	მომხსენებელი:	ამხ. ელიავასი.
2. „	ცენტრალური კლუბი	„	ამხ. ლოლობერიძე.
3. „	ავლაბრის კლუბი	„	ამხ. რუბენი.
4. „	სატირ-აგიტი	„	ამხ. ფიგატნერი.
5. „	მუსლიმანთა აუდიტორია	„	ამხ. გოგიტაშვილი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

კომინტერნის მესამე კონგრესის აღსანიშნავი დღე

კომინტერნის მესამე კონგრესის მუშაობა დამთავრდა. საქართველოს კ. პ. ც. კ. კვირას, 24 ივლისს, საერთო რესპუბლიკური მასშტაბით მართავს დღეს, ამ უდიდესი მოვლენის აღსანიშნავად.

ქ. თბილისში და რესპუბლიკის ყველა მაზრებში მოეწყობა კრებები, რომლებზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები კომინტერნის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ, ქ. თბილისში კრებები დანიშნულია:

1-ლი რაიონი—	ნაძალადევის თეატრში	მომხსენებლები—	ამხ. მდივანი და ორახელაშვილი.
2. „	ცენტრალურ კლუბში	„	ლეგრანი და ელიავა.
3. „	ავლაბრის კლუბში	„	ორჯონიკიძე და ფიგატნერი.
4. „	არტილერიულ სახ. დარბაზში	„	ქავთარაძე და ლისოვსკი.
5. „	მუსულმანთა აუდიტორიაში	„	ლოლობერიძე და რასულ-ზადე.

რესპუბლიკის ყველა მაზრებში ამ დღის ჩასატარებლად იგზავნებიან შემდეგი ამხანაგები:

1) გორის მაზრა	ამხ. ოკუჯავა და ქურიძე.
2) თიანეთის მაზრა	ამხ. ოდილავაძე.
3) თელავის მაზრა	ამხ. რუხაძე და მათიკაშვილი.
4) სიღნაღის მაზრა	ამხ. ჯიჯიკაშვილი.
5) ახალქალაქის მაზრა	ამხ. ვირაპი და ბრეხნიჩევი.
6) ბორჩალოს მაზრა	ამხ. შაბანოვი და ამაო.
7) ახალციხის მაზრა	ამხ. ბოგოლეპოვი.
8) შორაპნის მაზრა	ამხ. ნუცუბიძე.
9) ბათომის ოლქში	ამხ. მახარაძე და გამბაროვი.
10) დუშეთის მაზრაში	ამხ. თოდრია.
11) ფოთში	ამხ. ჩხენკელი და რაბინოვიჩი.
12) ქუთაისის მაზრაში	ამხ. თუმანოვი.
13) ოზურგეთის მაზრაში	ამხ. მახარაძე და ლონენკო.
14) სენაკის მაზრაში	ამხ. გეგეჭკორი და კაკაბაძე
15) ზუგდიდის მაზრაში	ამხ. ჯუღელი და კალაძე.
16) ლეჩხუმის მაზრაში	ამხ. ელისაბედაშვილი.
17) სამხრეთ ოსეთში	ამხ. მაშკევიჩი და ბახუტოვი.

საორგანიზაციო კომისია აუწყებს ყველა გასამგზავრებლად დანიშნულ ამხანაგებს, რომ მიმოსვლის საშუალებათა შესახებ იზრუნებს პოლიტიკური განათლების მთ. მმართველობა, რომელსაც დავალებული აქვს მთელი კამპანიის ტეხნიკურად ჩატარება. ამხანაგები თავის დროზე უნდა გაემგზავრონ, რომ 24 ივლისს დილისთვის იყვნენ თავ თავიანთ ადგილზე.

ს. ც. კ. სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება თხოვს ამხანაგებს გამგზავრების წინ შეიარონ ც. კ. საგ. საპრ. განყოფილებაში (რუსთაველის პრ., 22) ლიტერატურის, თეზისების და პლაკატების მისაღებად.

საორგანიზაციო კომისია.

ყველა ამხანაგები,

რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში კომინტერნის დღის ჩასატარებლათ, უნდა გამოცხადდნენ პოლ. გან. მთავ. მარ. საგიტაციო განყოფილებაში, სამგზავრო ფულისა, პლაკატებისა და სურსათის მისაღებით ამა 22 ივლისის 12 საათამდე.

გაამტკიცეთ პარტია!

ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ ძალაუფლება ჩაიგდო ხელში ობიექტიურად შედარებით ხელსაყრელ პირობებში. ჩვენ არ გვქონია საგარეო ომი, არც სამოქალაქო ბრძოლის გამწვავებაა მოსალოდნელი; არ არის ის მძიმე პირობები, რომლების დაძლევა მოუხდა საბჭოთა რუსეთს, სამაგიეროდ ჩვენ არ მოგვეპოვება ის უდიდესი საორგანიზაციო გამოცდილება, რომლითაც ასე მდიდარია რუსეთი: სისხლითა და ფოლადით გამოჭედა მან ერთიანი პარტიული ნებისყოფა, რკინისებური დისციპლინით შეადუღა თავისი რიგები.

არალეგალურ მდგომარეობიდან ახლახან გამოსულ ჩვენი პარტიის წინაშე წამოყენებულია ორი უდიდესი მიზანი, რომლის განხორციელებას დღევანდელი დრო დაჟინებით მოითხოვს: პარტიული და სახელმწიფოებრივ ორგანიზმის შექმნა და განმტკიცება.

მაშინ, როდესაც რევოლიუციის ცეცხლში იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ რუსეთში კომუნისტების რიგები, ასე რომ ძალაუფლების დაპყრობის მომენტისათვის ისინი უკვე წარმოადგენდნენ მტკიცედ შედუღებულ მთლიან ერთეულს,—ჩვენში პარტია ნელ ნელა იცლებოდა სისხლისაგან.

ნაწილი ჩვენი საუკეთესო მუშაკებისა ვერ იტანდნენ მუშაობას ჯურღმულში, იატაკქვეშ, სადაც ისინი შედევნეს მენშევიკებმა, და მიდიოდნენ რუსეთში, რომელიც ფართე გასაქანს აძლევდა მათი შემოქმედებითი, რევოლიუციონურ ენერგიას; ნაწილი კიდევ მთელი წლობით იტანჯებოდა საპყრობილეებში, ლევდა რა ძალას და ენერგიას სევდასა და შავბნელ დღეების ნაღველთან ბრძოლაში; და მხოლოდ მცირე ჯგუფი ახერხებდა ეწარმოებინა მუშაობა გაბნეულ და მენშევიკ-გამცემლების მიერ მოტყუებულ ხალხის მასებში.

მხოლოდ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ, როდესაც ჩვენ შევიძელით სოციალ-გამცემლების ულლის გადაგდება, ვიწყებთ ჩვენი რიგების შემოკრებას, ვეცნობით ამხანაგებს, რომლებიც ჩვენთან მხარ და მხარ ეწეოდნენ ბრძოლას და რომელთა სახელებსაც არ ვიცოდით ხშირად.

ხშირად გვესმის მტრების მხრიდან ჩვენდამი მიმართული საყვედური, რომ გავიმარჯვეთ არა ჩვენ, არამედ წითელმა ლაშქარმა. ნუ თუ დამნაშავეა ხუნდებგაყრილი ტყვე, რომ არ შეუძლია მარტო საკუთარი ძალით ჯაჭვის გაწყვეტა? და თუ ეს მან ვერ შესძლო, განა ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ მიისწრაფოდა თავისუფლებისაკენ? და განა წითელი ლაშქარი არ არის ჩვენი სისხლი-სისხლთაგან და ხორცი-ხორცთაგან? ოქტომბრის გადატრიალებამდე, სანამ მენშევიკური ოხრანკა არ სწამლავდა ქართველ მუშების და გლეხების გონებას, უკანასკნელნი არასოდეს არ აცალკევებდნენ თავის თავს რუს მუშისაგან და არ ფიქრობდნენ, რომ მათ აქვთ სხვა გზა: ისინი ერთად ღვრიდნენ სისხლს რევოლიუციამდე და რევოლიუციის დროსაც. ბუნებრივია, რომ რუსი მუშა მოვიდა თავის ძმასთან და დაეხმარა მას მოეგლიჯა ჯაჭვები ტყვეისაგან გაშეშებულ ხელებიდან, ის ჯაჭვები, რომლითაც შეკრეს ქართველი მუშა და გლეხი მენშევიკების ბელადებმა.

ბოლოს ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ეს გამარჯვება. უდიდესი მადლობა ჩვენს ამხანაგ წითელ ლაშქრელებს, რომელნიც გვეხმარებიან ჩვენ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში, მაგრამ ეს მონაპოვარი გახდება უფრო მტკიცე, როდესაც ხალხი თვითონ შეიგნებს იმ სიკეთეს, რომელიც მოაქვს მასთვის საბჭოთა წყობილებას, და თვითონ შესძლებს დაიცვას იგი საკუთარი შეკავშირებული ძალებით. რომ ამას მივაღწიოთ, ჩვენ ეხლავე უნდა ავამოძრავოთ მთელი ენერგია და შემოქმედებითი ძალები, რომ შევქმნათ პარტია, მძლავრი ერთიანი ნებისყოფით, ერთიანი მისწრაფებით, ასულდგმულებული ერთი მიზნით.

ჩვენი პარტიის განმტკიცება, მისი თვითშემოქმედების გაღრმავება, ცალკე წევრების შეგნების დონის ამაღლება, მცოდნე მუშაკების მომზადება—აი ჩვენი პარტიის უახლოესი მორიგი და მთავარი მიზანი. რომ ამას მივაღწიოთ, საჭიროა [illegible] გავაძლიეროთ ჩვენი პროპაგანდა, აგიტაცია და ორგანიზაცია.

ხელთ გვიპყრია რა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი, ჩვენმა სამუშაოს უნდა მივსცეთ მეტად ფართე გასაქანი, ჩავითრიოთ მასში ყველა საუკეთესო პარტიული ძალები, გამოვიყენოთ საბჭოთა რუსეთის მთელი დიდი გამოცდილება. მხოლოდ მტკიცე, მძლავრი პარტიის შექმნით შევძლებთ ჩვენ ავაშენოთ სახელმწიფოებრივი საბჭოთა აპარატი, განვავითაროთ ქვეყნის საწარმოო ძალები, გამოვიყენოთ მთელი მისი უამრავი სიმდიდრე, აღვწიოთ ხალხის კეთილდღეობა და განვახორციელოთ ჩვენი საბოლოო მიზნები. ამნაირად, ავამოძრაოთ ყველა ძალები, მთელი ენერგია ჩვენი პარტიის განსამტკიცებლათ, უფრო მჭიდროდ შევკრათ ჩვენი რიგები და ვუჩვენოთ ჩვენს დამარცხებულ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოსპობილ მტრებს, რომ ძველის დაბრუნება შეუძლებელია.

სპეკულიანტების დაზვერა

ჩვენი რესპუბლიკა ქაღალდის ფულის ნიშნებითაა ავსილი და მოფენილი. მენშევიკების დროს ფულის საბეჭდავი მანქანა დღე და ღამ ტრიალებდა. არც ახლაა მოსვენებული ეს მანქანა. ამასთანავე ჩვენში შემოვიდა ბურჟუაზიული ფულის ნიშნები მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებიდან. იქ სადაც ერთი მანეთი უნდა ტრიალებდეს, დღეს ასი და ათასი მოძრაობს და ხელიდან ხელში გადადის. ვიცით, ფულის და ფულის ნიშნების გადაგვარება ახასიათებს სოციალისტურ საზოგადოებაში, ვიცით, რომ საბჭოთა რესპუბლიკაში ძალით, ბუნებრივი ზომით ვერ მივუდგებით ფულის ნიშნების საკითხს და ვერ მოვითხოვთ ფულის ნიშნების რაოდენობის შეფარდებას ბაზარზე არსებულ საქონლის რაოდენობასთან. სოციალისტურ რესპუბლიკაში ქაღალდის ფულს ერთგვარი გადასახადის მნიშვნელობა აქვს. მუშურ-გლეხური სახელმწიფო ქაღალდის ფულის გამოშვებით „ხელს ინაცვლებს“, აუცილებელ საგნებს იძენს. ნორმალურ პირობებში რომ უხდებოდეს პროლეტარულ სახელმწიფოს არსებობა და მოქმედება, მაშინ თავის საკუთარ ფაბრიკა-ქარხნებში ნაწარმოებ საქონელს ის გადაუცვლიდა სოფლის მწარმოებლის საქონელზე და ამით დაიკმაყოფილებდა თავის აუცილებელ მოთხოვნილებათ, იმავე დროს დაამყარებდა ერთადერთ სწორ და ნორმალურ დამოკიდებულებას ქალაქის პროლეტარიატსა და გლეხთა შორის. სანამ ასეთი პირობები არ არსებობს, ქაღალდის ფულს, როგორც ვთქვით, გადასახადის მნიშვნელობა ეძლევა. ეს გადასახადი ყველას აწვება, ვინც კი ბაზარზე გამოდის საქონლის გამყიდველის ან მყიდველის როლში.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მსხვილი მყიდველი და გამყიდველი ყოველთვის მოგებაშია, სპეკულიაციის ქსელით დათრობილი, ის ხვეტავს ფულს. დღეს ქალაქის სპეკულიანტის და სოფლის კულაკის, სოფლის წურბელას საკუჭნაოები, ქურქები და ხალიჩები სავსეა ფულით. როდესაც ქალაქის მშრომელი მასსა და სოფლის ღარიბ-ღატაკნი უწყვეტელ გაჭირვებას განიცდიან, რადგან მათ არც საქონელი აქვთ და არც ფულის ნიშნები, ამ დროს ჩვენი ბული სპეკულიანტები ტენენ და ტენენ თავის უძირო ჯიბეებს იმ ფულით, რომელსაც უშვებს მუშურ გლეხური მთავრობა. საბჭოთა მთავრობა ვერ შეურიგდება და არც შეურიგდება ასეთ მდგომარეობას. მრავალი აუცილებელი მოთხოვნილება გვაქვს დასაკმაყოფილებელი, ხოლერის ეპიდემია აწვება ჩვენს ისედაც მძიმე მდგომარეობას. და ვინც ფიქრობს, რომ ახალ წყობილებაზეც ფართო გაშლით იპარპაშებს და ხალხის ფართო მასების გაჭირვებიდან მსუქან ნაღებს აკრეფს უწინდებურად, „ძველებურათ, ჩვენებურათ“, ე. ი. სპეკულიანტურად, ის მწარეთ მოტყუებული და იმედ გაცრუებული უნდა დარჩეს. სხვა მრავალ ზომებთან ერთად, სპეკულიაციის და სპეკულიანტების ასალაგმავად, მათთვის ალყის შემოსარტყმელად, აუცილებელია ერთდროული დაზვერვა ქალაქის და სოფლის სპეკულიანტების და ყველა მდიდრების, საგრძნობი რაოდენობა ფულის ნიშნების ამოღებულ უნდა იქნეს ბაზრის ტრიალიდან და გადავიდეს ხაზინაში. ნაწილი იმ [illegible] და [illegible] მუქთახორების ხელშია, უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს, რომელიც რამოდენიმეთ მაინც დაიკმაყოფილებს მოცილებულ საჭიროებას ხალხის ფართო მასებისას.

ამ ზომით რესპუბლიკების ფულის ნიშნების ჩვენში ტრიალის შემცირებასთან ერთად, ეს ზომა შესამჩნევ გავლენას იქონიებს ჩვენი ფულის ნიშნების მყიდველობითი ძალაზე, ე. ი. აწევს ჩვენი ფულის კურსს.

საბჭოთა ხელისუფლების სიძნელე

III.

ყველა სხვა სიძნელესთან ერთად, რაც ჩვენ ზევით დავასახელეთ, ჩვენ საქმე გვექნება კიდევ ეგრეთ წოდებულ ბიუროკრატიზმთან. ეს ერთი დიდ ბოროტებათაგანია, რომელიც ჩვენ ნაანდერძევი გვაქვს ძველი წყობილებისაგან და რომელიც, სამწუხაროთ, დღესაც ჯერ კიდევ ბუდობს ჩვენში [illegible].

საბჭოთა რუსეთმა, სადაც პროლეტარიატმა პირველათ დაამსხვრია ბურჟუაზიული ბიუროკრატიული აპარატი და საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის სახელმწიფოს—მუშათა სახელმწიფოს,—აი ამ საბჭოთა რუსეთმა პირველ ხანებში არ იცოდა ეს ბიუროკრატიზმი, რაც იმის მომასწავებელია, რომ საბჭოთა წესწყობილებისთვის, როგორც მუშათა კლასის ხელისუფლებისთვის, ბიუროკრატიზმი სრულიად უცხო რამ არის. მაგრამ საკმარისი იყო გავიდა რაღაც 1—1 ნახ. წელს, რომ ბიუროკრატიზმი საბჭოთა რუსეთშიაც ისევ აღდგენილიყო. ასე, მაგ.- კომუნისტური პარტიის მერვე ყრილობა, რომელიც მოხდა 1919 წელს (18—23 მარტი) და რომელზედაც მიღებული იქნა ახალი პროგრამა, უკვე აღნიშნავს „ბიუროკრატიზმის ნაწილობრივ აღდგენას საბჭოთა წყობილებაში; და აქვე უჩვენებს ერთი მხრით ამ მოვლენის მიზეზებს და მეორე მხრით მასთან საბრძოლველათ დასახული ზომების მიღებას. ეს მიზეზები ასეთია: ფართო მასსის დაბალი კულტურული დონე; მასსის მიერ საპასუხისმგებლო ადგილებზე წამოყენებული მუშაკების მოუმზადებლობა მართვა-გამგეობის საქმეში; აუცილებლობა ძველი სპეციალისტების დაყენების დიდი მოწვევისა საჩქაროთ საბჭოთა დაწესებულებებში და იმავე დროს ქალაქის მუშების საუკეთესო ნაწილის გაწვევა [illegible] სამსახურში. შემდეგში ყველა ამას დაერთო მასსის უკიდურესი გაღატაკება, პურის, ფართლეულობის და სხვა საგნების ნაკლებობა ან სრულიად არყოფნა. და ამ ნიადაგზე უკანასკნელის წარმოშობა განვითარება, შექმნა პრივილეგიების უპირატესობა სათვის, და რაც მეტად საყურადღებოა ყველაზე უფრო პასუხისმგებელ მოღვაწეობის მასსასთან დაშორება. აი ყველა ის მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს საბჭოთა რუსეთში ბიუროკრატიზმი.

რაში გამოიხატება ეს ბოროტება? მოკლეთ შეიძლება ის ასე დავახასიათოთ. საქმის გართულება საბჭოთა დაწესებულებაში, უთავბოლო წერა ქაღალდების, უმნიშვნელო რამეების თვის მთელი დღეების, კვირეების და შეიძლება თვეების დაკარგვა, უზომო გადიდება საკანცელარიო მექანიზმის, მუშებისათვის და გლეხებისთვის საქმის გაჭიანურება; ყოველივე ეს იწვევს საქმის შეფერხებას, დაბრკოლებებს და ზოგჯერ შეჩერებას.

უკვე მერვე ყრილობამ მიგვითითა იმ ზომებზე, რომლებიც პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას უნდა მიეღო ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელათ ძირიანფესვიანათ, სახელდობრ: 1) საბჭოს თითოეულ წევრის სავალდებულო მოწვევა განსაზღვრული მუშაობისთვის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში; 2) თანდათანი შეცვლა ამ მუშაობის ისე, რომ საბჭოს წევრი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყველა დარგებს უნდა გაეცნოს, 3) მთელი მშრომელი ხალხის თანდათანი მონაწილეობის მიღება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

სამწუხაროთ, ყველა ამ ზომებმა ვერ გასჭრეს, ვინაიდან შემდეგ ამისა კიდევ უფრო იმატა ქვეყნის ეკონომიურმა ღატაკობამ, კიდევ უფრო გამწვავდა ეკონომიური კრიზისი, საქონლის ნაკლებობა და მასთან ერთად პასუხისმგებელ მუშაკების დაშორება მასსასთან. ყველა ამას თანდათან უნდა მოჰყოლოდა ბიუროკრატიზმის კიდევ უფრო მეტი ზრდა. აშკარაა, რომ მხოლოდ ქვეყნის ეკონომიური აღორძინება, ეკონომიური კრიზისისთვის თავის დაღწევა საბჭოთა საბჭოთა სახელმწიფოში ბოლოს მოუღებს ბიუროკრატიზმს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ბიუროკრატიზმი თან დაჰყვა საბჭოთა ხელისუფლებას დღიდან თავისი მოვლინებისა. ეს ადვილი ასახსნელია. მუშათა კლასის ხელისუფლებას აქ საბჭოები არ უძღოდნენ წინ, როგორც რუსეთში. საბჭოთა ხელისუფლება აქ დაეყრდნო ძველ ბიუროკრატიულ აპარატებზე, რომლებიც არსებითად ოდნავაც არ შეცვლილან, შეიცვალა მხოლოდ იმათი სახელწოდება. გარდა ამისა გაჩნდა კიდევ ახალი დაწესებულებები, რომლებსაც ძველი წყობილება არ იცნობდა.

ამნაირათ ძველი ბიუროკრატიული აპარატი კიდევ უფრო გადიდდა, გაიბერა და მან მეტად საშიშარი სახე მიიღო. ყველა ზევით ჩამოთვლილი დაბრკოლებებთან და სიძნელეებთან ბიუროკრატიზმი დიდ ბოროტებას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. ბიუროკრატიზმი მჭიდროთ შეკავშირებულია ყველა იმ უარყოფით მოვლენებთან, რომლებიც ჩვენ ზევით ვუჩვენეთ. ამიტომ შეუძლებელია განსაკუთრებით მარტო მის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმდენათ, რამდენადაც ჩვენ დავსძლევთ ყველა დანარჩენ დაბრკოლებებს და სიძნელეთ. ყოველ შემთხვევაში ის ზომები, რომლებიც გვიჩვენა რუსეთის კომ. პარტიის მერვე ყრილობამ, ჩვენ უნდა გამოვიცადოთ, და პირველ ყოვლისა უზომოთ გაბერილი საბჭოთა დაწესებულებები გავწმინდოთ და დავსცალოთ მავნე ელემენტებისაგან, და თვით დაწესებულებები უფრო სადა, უფრო მარტივი გავხადოთ. მაგრამ ამ დაწესებულებათა დატოვება ხელუხლებლად, ისე, როგორც ისინი დღეს არსებობენ, არ შეიძლება, ეს იქნებოდა ბოროტებაზე განზრახ ხელის დაფარება.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა რუსეთის პრესა

მარტოვი კონტრ-რევოლიუცია.

ეგრეთ წოდებულ „სოციალისტურ ვესტნიკში“, რომელიც გამოდის მარტოვისა და აბრამოვიჩის ხელმძღვანელობით, სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ მოთავსებულია სტატია მარტოვისა შემდეგი სათაურით: „ამხ. პ. ბ. აქსელროდის წერილის გამო“,

აქ ბ. მარტოვი მსჯელობს—იცით, მკითხველო, რაზე?—საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ.

აი რას სწერს მარტოვი აქსელროდისა და მის შორის ჩამოვარდნილ „გაუგებრობის“ შესახებ:

„ამხ. აქსელროდი ფიქრობს, რომ, იზიარებს რა ჩვენ უარყოფით შეხედულებას ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის შესახებ, ის არ ეთანხმება იმ მოტივებს, რომლებიც ჩვენ გვქონდა წამოყენებული ამ შეხედულების სასარგებლოდ. ის იმიტომ კი არ არის წინააღმდეგი ასეთი აჯანყებისა, რომ პრინციპიალურად არაა დასაშვები გაფიცვა წინააღმდეგ სუბიექტურ-რევოლიუციონურისა და სუბიექტურ სოციალისტური მთავრობისა, არამედ იმიტომ, რომ არსებულ ისტორიულ კონიუნქტურაში ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ხალხის აჯანყების (ე. ი., საკვირველია!) საშუალებით მოხდება ძალთა ისეთ განწყობილების პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ნაყოფს ბოლშევიზმის ჩამოგდებისას არა პროლეტარიატისა და დემოკრატიისათვის, არამედ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციისათვის. და ეს არის კიდევაც თვალსაზრისი რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიისა“ (კურსივი მარტოვის).

საჭიროა დავიმახსოვროთ ეს თვალსაზრისი ბ. ბ. მარტოვის, აქსელროდის და „რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიისა“ მდგომარეობს პრინციპიალურათ აჯანყებისათვის მზადებაში. მარტოვი წინააღმდეგია მხოლოდ ერთგვარი აჯანყების, პრინციპიალურად კი ის უარს არ ყოფს აჯანყებას, როგორც მიმართულს „დესპოტური უმცირესობის“ წინააღმდეგ.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ პირმოთნეებს და მლიქვნელებს ვაჭერთ სიტყვას საშუალებით. მენშევიკებს ძალიან უყვართ თავი მოაჩვენონ ყველას უდანაშაულოთ და [illegible]. ისინი ცეცხლს ყრიან ხოლმე თვალებიდან, როდესაც მათ ბრალსა სდებენ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდებაზე, მაგრამ რუსეთის მენშევიზმი საზღვარგარეთელმა კრაპოლინსკიმ და ვაშლიაპსკიმ საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღაბი და აშკარად აღიარეს, რომ მათ ამოქმედებს მოღალატური სურვილები.

მარტოვის ფელიეტონში საგულისხმოა აგრეთვე შემდეგი. ბოლშევიზმს, მარტოვი, თვლის „პროლეტარიატის შეცდომების ნაყოფად, რომელიც გამომდინარეობს პროლეტარიატისავე მოუმწიფებლობისაგან და აზროვნებაში უტოპიზმის გაბატონებისაგან“.

ბ. მარტოვი სწერს აქსელროდის წინააღმდეგ, რომ ეს უკანასკნელი როგორც აწმყოსათვის, ისე წარსულისთვის არ აფასებს ბოლშევიკების ნამდვილ გავლენას პროლეტარიატის ფართე მასაზე და აგრეთვე მის ორგანიულს, მაგრამ შემთხვევითს, კავშირს მუშათა კლასის საგრძნობ ძალასთან.

ასეთი მსჯელობის ნაყოფათ რას ვღებულობთ? საბჭოთა მთავრობა, მარტოვის აზრით, სუბიექტურ რევოლიუციონურია, ობიექტიური ორგანიულ კავშირითაა პროლეტარიატთან დაკავშირებული და ამიტომ? ამიტომ ბ. მარტოვი „პრინციპიალური“ მომხრეა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისა. ამ აზრში თავისებური ლოღიკაა, მაგრამ ეს არის კონტრ-რევოლიუციონური ლოღიკა. რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტია მთელი თავისი საზღვარ-გარეთული [illegible] არის წმინდა კონტრ-რევოლიუციონური პარტია. ტყუილად კი არ ასხამდა მილიუკოვი ამ პარტიას ხოტბას. მაგრამ ბატონი მენშევიკები ძალზე მშიშარა კონტრ-რევოლიუციონერები არიან. მათ რცხვენიათ თავიანთ კონტრ-რევოლიუციონური სიშიშვლის და ლამობენ დაფარონ თავი გაცვეთილ და მახინჯ [illegible] დემოკრატიულ ფრაზებით. ამნაირად, მენშევიკების სურვილი მოგვაგონებს რევოლიუციის ქუჩა-ქუჩა ხილისაგან შეშინებულ იმ მდაბიო მოქალაქეს, რომელიც არასოდეს არ დაერიდება (მხოლოდ პატარა „გარანტიით“) პროლეტარიატის ბატონობის მოსასპობათ. ეხლა, ბატონებო, ტყუილად აყენებთ ნაცარ ტუტას. თქვენ „პრინციპიალური“ მომხრე ბრძანდებით აჯანყებისა პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ ნუ გეწყინებათ თუ, რომ პროლეტარიატის ხელისუფლება „პრინციპიალურად“ ფიზიკურ გუშაგით იქნება სადარაჯოზე კაპიტალის აგენტებისაგან თავის დასაცავათ.

„პრავდა“.

რევოლიუციონური კოოპერაციის ორგანიზაცია.

პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლის გაფართოებასთან ერთად, რომლითაც მდიდარია ეს უკანასკნელი თვეები, სწარმოებს გაძლიერებული პროცესი პროლეტარიატის რევოლიუციონურ ორგანიზაციების შექმნისა და მათი გაერთიანებისა. ამდენ ხანს ჩვენ გვქონდა გაერთიანებული ორი ორგანიზაცია: კომუნისტური ინტერნაციონალი და პროფკავშირების საერთაშორისო საბჭო. მესამე ორგანიზაცია—კოოპერაცია—რომელიც უნდა ჩაითვალოს მუშათა მოძრაობის მესამე ფორმათ, რევოლიუციონურ იდეებისაგან ნაკლებათ იყო გაშუქებული და ყურადღება მიქცეული. აქამდის კოოპერაციის მიზანი ვიწროთ იყო შემოფარგლული. სახელდობრ, კოოპერაცია აწარმოებდა ნელ მუშაობას მხოლოდ თავის წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობაც სუსტათ ეხებოდა ამ ორგანიზაციას; ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ძველი ხელმძღვანელები არ ხედავდნენ თავის სამოქმედო ასპარეზზე არავითარ წინააღმდეგობას და შეუდგნენ მაგარი ბუდის გაკეთებას ამ ორგანიზაციაში და თავისუფლათ [illegible] მთელი კოოპერაცია გადაიქცა მორჩილ იარაღათ ძველი კოოპერაციის ხელმძღვანელებისა—ამ [illegible] ყველა სოციალ გამყიდველთაგან.

მთელი ძალა და საშუალება კოოპერაციისა დასავლეთ ევროპაში გამოყენებულ იქნა არა მშრომელთა განთავისუფლების საქმისთვის, არამედ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკის გასამაგრებლათ.

რევოლიუციონურ ბრძოლის ნაყოფიერებისათვის საჭიროა მუშათა კლასის მტრების პირდაპირ გამოგლეჯით ხელიდან კოოპერაცია—ეს უკანასკნელი იარაღი, რომლითაც, არ ხვდებოდნენ რა აქამდის არავითარ წინააღმდეგობას, სარგებლობდნენ მშრომელი ხალხის მოსატყუებლათ. ამ ამოცანის გადასაჭრელათ ამოქმედებულია უკვე რევოლიუციონური პროლეტარიატი.

ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში, „ცენტროკავშირის“ საბჭოს მეორე კრებაზე, დადგენილ იქნა შექმნათ კომისია კოოპერატორთა შორის პროპაგანდის გასაწევათ მთელ მსოფლიოში მესამე ინტერნაციონალის იდეის გასავრცელებლათ. მაისის შუა რიცხვებში საბჭოს მესამე სესიამ დაადგინა საერთაშორისო კოოპერაციის ორგანიზაციის ბიუროს წინაშე ამოცანა შექმნათ ყველა ქვეყნებში იმ კოოპერატორთა კავშირი, რომელნიც დაიკავებენ გადამჭრელ რევოლიუციონურ ბრძოლის წარმოების პოზიციას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამჟამათ საერთაშორისო კოოპერატივთა საორგანიზაციო ბიურომ მოათავა წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა და გამოუშვა კიდევაც „მთელი ქვეყნის კოოპერატივების“ მიმართ მანიფესტი, რომელიც დაბეჭდილი იყო გაზ. „მოსკვა“-ში (ორგანო კომუნისტურ ინტერნაციონალის მე-3 სიეზდისა) და № 8—9 „მოიხმარებელთა კავშირში“,—ორგანო ცენტროკავშირისა).

მანიფესტი აკრიტიკებს ძველი კოოპერაციის ხელმძღვანელების მუშაობას და მოუწოდებს რევოლიუციონურ კოოპერატორებს შექმნან კოოპერაციის წიაღში ორგანიზაციები და რევოლიუციონური იაჩეიკები, რომელიც უნდა გახდეს ორგანიზაციის, აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრათ. შემდეგი ნაბიჯი ამ საქმეში იქნება შექმნა მტკიცე ორგანიზაციულ კავშირისა ამ ჯგუფებს შორის ქალაქს, ოლქს და მთელ კუთხის ფარგლებში, როგორც წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა რევოლიუციონურ კოოპერაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელათ. მანიფესტი მოუწოდებს კოოპერატორებს შემოკრბნენ რევოლიუციონური ბრძოლის დროშის ქვეშ ყველა მშრომელთა გასანთავისუფლებლათ. რევოლიუციონურ ძალთა გაერთიანება სწრაფათ მიდის წინ. კოოპერაციის გამოსვლა რევოლიუციონურ პროლეტარიატის ბრძოლის ასპარეზზე წარმოადგენს ახალს ნაბიჯს გადადგმულს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის განვითარებისაკენ.

„პრავდა“.

წითელ რესპუბლიკებში.

რუსეთი.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი.

მოსკოვი. 19 ივლისი, მოსკოვის საბჭოს პლენუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. [illegible] მოხსენება საწარმოო, მომხმარებელი და სხვა სახის კოოპერაციის შესახებ. პლენუმმა აღიარა, რომ ძირითადი ამოცანაა დღევანდელ მომენტში სასურსათო გადასახადის სავსებით აღება. მასთან ერთად დიდ მნიშვნელობის ამოცანაა აგრეთვე საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარება, მასთან დაკავშირებით კი საწარმოო კოოპერაციის განვითარება, რომელმაც უნდა შეასრულოს დიდი როლი სასოფლო მეურნეობის აღდგენაში. მოხსენებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც აღნიშნა მთავარი მომენტები ეკონომიური პოლიტიკის კურსის შეცვლისა. მან მიუთითა, რომ ორ ფაქტს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა: მოუსავლობა 48 პროც. პურის წარმოებისა და დაუთესველობა 25 პროც. რუსეთის საერთო სათესი სივრცისა. ეს ორი ფაქტი გვიჩვენებს, რომ უნდა იქნას არჩეული სასოფლო მეურნეობის ახალი მეთოდები. 240 მილ. ფ. პური, რომლის მიღება ნავარაუდევია სასურსათო გადასახადის გზით, მშრომელებს ვერ უზრუნველყოფს. დაგვაკლდება 60 მილ. ფუთი, რომელიც უნდა მივიღოთ საქონლის გადაცვლის საშუალებით, რომელიც უნდა იქნას ჩატარებული რიგიანად და სასარგებლოდ, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვით. ჩვენი მრეწველობის კრიზისმა, რომელიც შეიქმნა იმპერიალისტურ ომის უკვე პირველ ხანებში, გამოიწვია ქალაქის გაღატაკება და სოფლის გამდიდრება. რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად საჭიროა სწორი ურთიერთობის დამყარება სოფელსა და ქალაქს შორის და მრეწველობის მოწყობა ახალ სამეურნეო საფუძვლებზე. ნაწარმოებები, რომელნიც საკმაო ნაყოფიერებას ვერ იჩენენ, სათბობის და ნედლეულობის კრიზისთან დაკავშირებით, უნდა გადაეცეს მშრომელთა ამხანაგობებს ან იჯარით კოოპერატივებს. ყველა დანარჩენ მსხვილ წარმოებათ სახელმწიფომ უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება. ასეთი წარმოებათა მუშები აიყვანებიან კოლექტიურ მომარაგებაზე და მიღებული იქნება ზომები წარმოებების უზრუნველსაყოფათ სათბობი და ნედლი მასალით. შეეხო რა სასურსათო გაჭირვებას, რომელიც გამოწვეულია მოუსავლობით, ამხ. კამენევმა სთქვა: ახალი მტერი მოუსავლობა ისევე დაგვიახლოვდა, როგორც ახლოს მოვიდნენ წითელ დედაქალაქებთან იუდენიჩი და დენიკინი. როგორც დენიკინი იქნა განადგურებული ორიოლთან, ხოლო იუდენიჩი პიტერთან ისე ჩვენი ახალი მტერი დამარცხებული იქნება მთელს რესპუბლიკაში. პირველ რიგში გლეხებმა უნდა მოაგროვონ 30 მილ. ფუთი პური, რომელიც მათ მიეცათ სათესლედ. აქედან ხორბალი უნდა გადაეცეთ მოუსავლობიდან დაზარალებულ გუბერნიებს დასათესად. სასურსათო გადასახადი გლეხებმა დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ. მოხსენების ბოლოს ამხ. კამენევმა გაიცნო პლენუმს, თუ რა ღონისძიებაა მიღებული წვეულ უბედურებასთან საბრძოლველად. მან განაცხადა, რომ ცეკასთან ეწყობა სპეციალური კომისია, რომელიც აერთიანებს ყველა კომისარიატის მოქმედებას, რომელნიც აწარმოებენ დამშევასთან ბრძოლას. შექმნილია აგრეთვე, დამშეულთა დამხმარე რუსეთის კომიტეტი. ახალი უბედურება დაგვატყდა თავზე, დაასრულა ამხ. კამენევმა, მის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ მივდივართ იმავე რწმენით და ენერგიით, რომლითაც ჩვენ მოვახდინეთ ოქტომბრის რევოლიუცია და როგორც 4 წლის განმავლობაში ვიცავდით მას. დარწმუნებული ვართ რომ მოსკოვის საბჭოთა სათავეში ჩაუდგება ყველა საბჭოებს და სიმშილთან ბრძოლის სფეროში და უჩვენებს მშრომელ ხალხს, რომ მოსკოვის პროლეტარიატს შეუძლია მაგალითი მისცეს რუსეთის ყველა მშრომელთ.

ბრძოლა ხოლერასთან.

„იზვესტიას“ ცნობით: ხოლერამ მიიღო უდიდესი ეპიდემიური ხასიათი. როსტოვი, ვოლგის ნაპირები ვორონეჟი და ორიოლი ეპიდემიის ცეცხლში გახვეული, თითეული კერა ეპიდემიისა იზრდება რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში. სანიტარული მდგომარეობა ქვეყნისა სამწუხაროა. კანალიზაცია და წყალსადენი დანგრეულია. მასიურ მოძრაობას გადააქვს ხოლერა ერთი ადგილიდან მეორეზე 1000 ვერსის მანძილზე.

ვოლგის სანაპიროები წარმოადგენენ შიმშილისა და ხოლერის სურათს. სასწრაფოთ საჭიროა წყლის მიწოდების გაუმჯობესება და ყველა დასახელებულ პუნქტების გასუფთავება. 2) მოწესრიგება მგზავრებთა მოძრაობისა, რათა გადასვლის უფლება მიეცეს მხოლოთ იმ პირთ, ვისაც ექნება მოწმობა ანტი-ხოლერული აცრისა, დიდ სადგურებზე მოწყობილი უნდა იქნას ამცრელი პუნქტები. 3) საჭიროა დაარსება კარანტინისა. 4) საჭიროა მობილიზაცია ფართე მასსისა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. დისკუსიის დრო წავიდა. ანტი-ხოლერის ფრონტი ნამდვილ სამხედრო ფრონტად უნდა გამოცხადდეს.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ოსმალეთი.

კონსტანტინეპოლის ბაზარზე.

გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ-ეკონომიურ მართველობის მიერ მიღებულ კერძო ცნობებით კონსტანტინეპოლის ბაზარი ავსილია საქონლით. საქონლის გატანა რუსეთში ნებადართულია. ბაზარზე ძალიან ბლომათაა შაქარი, კანადისა და რუმინიის ფქვილი. განსაკუთრებით ბევრია ფეხსაცმელი, მანუფაქტურა და ფუფუნების საგნები. უკანასკნელ ხანებში ემჩნევა ფასების ძალიანი დაცემა მანუფაქტურაზე და ფეხსაცმელებზე. ზოგიერთ საქონელზე (ძაფი, დაბალი ხარისხის ქურქი) ძალიან დიდი მოთხოვნილებაა. საბჭოთა რუსეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან კონსტანტინეპოლის კომერსანტებს სიამოვნებით სურთ ვაჭრობა.

ფასები პირველ საჭიროების საქონელზე შემდეგია: თეთრი კანადის ფქვილი (ბითუმი-ფრანკო) 1 ლირა და 93 პიასტრი, ფხვნილი შაქარი 3 ლირა და 50 პიასტრი კენჭი შაქარი 4 ლირა.

ინგლისი.

ლოიდ-ჯორჯი მიმდინარე მომენტზე.

ხორხი. საიმპერიო კონფერენციაზე, რომელიც შესდგა დიდი ბრიტანეთის ყველა ნაწილების წარმომადგენლებიდან, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა შემდეგი:

ეს კონფერენცია ხდება უძლიერეს პოლიტიკურ დაძაბვის მომენტში და მსოფლიოს მრავალ კუთხეების სერიოზულ მღელვარების დროს. საშინაო მდგომარეობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომელშიაც ხალხი ჩამდგარი იქნენ დიდი ომის შემდეგ. ომმა შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომლიდანაც გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ მრავალ წელთა განმავლობაში. ქვეყნიერებას მხოლოდ ცოტ ცოტათ შეუძლია თავის მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა. გერმანიის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: ორი მძიმე კითხვაა განიარაღება და ზარალის ანაზღაურება რჩება კიდევ ერთი ორი მძიმე საკითხი: ეს არის პოლონეთის საზღვრის დამყარება ლიტვაში და სილეზიაში და ამასთან ერთად ზავის შეკვრა ოსმალეთთან.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აღდგეს წინანდელი მდგომარეობა ევროპაში ანუ მტკიცე საერთაშორისო ზავის დამყარება, თუ არ მიღებულ ხელშეკრულების საფუძველზე. ბრიტანეთის მთავრობა სიამოვნებით ეგებება ყოველ წინადადებას შესახებ მჭიდრო კავშირის დამყარებისა ინგლისის ამიერ ოკეანეთა სამფლობელოებთან საერთაშორისო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბრიტანეთის სამფლობელოები ინდოეთში შევლენ ერთა ლიგაში სრულუფლებიან წევრებათ, ლოიდ ჯორჯმა დაასრულა თავისი სიტყვა განცხადებით, რომ თავისუფლება არის სახელმძღვანელო პრინციპი ბრიტანეთისათ“.

ინგლისის მემაღაროები

ქრისტიანია. ხოდჯესის განცხადებით ინგლისის მემაღაროენი 94 დღის გაფიცვის შემდეგ მუშაობას შეუდგნენ. მუშები უბრუნდებიან სამუშაოს დაქანცული და არა გულგატეხილნი და წინანდებურად მზათ არიან განაახლონ პირველ შემთხვევისთანავე გადამწყვეტი ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში სამშვიდო არ დამყარებულა. ერთად ერთი, რასაც მიაღწიეს მუშებმა, ეს არის სამუშაო ფასის შემცირების მოსპობა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ამერიკა

მუშათა მოძრაობა ამერიკაში.

ნიუიორკი. ნიუიორკის გაერთიანებულ მკერვალთა კავშირის 26 კვირის გაფიცვა დასრულდა. გაფიცვას ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. 26 კვირის ბრძოლის შემდეგ მესაკუთრენი იძულებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ მუშების ყველა ეკონომიური მოთხოვნილება.

—

რუს თეთრგვარდიელთა ცდა

ბერლინი. ხალხთა ლიგამ დასვა განსახილველათ საკითხი რუს ლტოლვილთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. დახმარების მოწყობა მოითხოვს უამრავ სახსარს. რუს ანტიბოლშევიკური ორგანიზაციები აგიტაციას ეწევიან, რომ ამ საქმისათვის ხალხთა ლიგამ მოიხმაროს ის ფონდი, რომელიც ეკუთვნოდა მეფის და შემდეგ დროებითი მთავრობას, [illegible] ოქროს მარაგი 330 მილ. მან., რომელიც რუსეთმა ერთ დროს გადასცა გერმანიას და ანტანტას განკარგულებაში იმყოფება. რუს თეთრგვარდიელების ამ ცდას ანტანტის დიპლომატები თანაგრძნობით არ უყურებენ.

ქრონიკა

◆ **შინაგან საქმეთა სახკომის განმარტება.** 18 ივლისის ბრძანებით შინაგან საქმეთა სახკომმა განმარტა, რომ ყველა თხოვნები და საჩივრები წისქვილების ჩამორთმევისა და დაბრუნების, წისქვილებზე გადასახადის და მისთ. საკითხის შესახებ უნდა მიმართონ განსაკუთრებით და მარტო: პირველ საკითხის შესახებ სახმეურის უმაღლეს საბჭოს, მეორის შესახებ სურსათკომს, ხოლო მესამის შესახებ კი მიწსახკომს.

◆ **სასწრაფო მედიცინური დახმარება რკინის გზაზე.** [illegible] საექიმო [illegible] ამბულატორიასთან ტფილისის სადგურზე დაწესებულია ექიმების თანამშრომელთა მუდმივი მორიგეობა სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენათ.

◆ **თბილისის განტვირთვა.** 20 ივლისს შინაგან საქმეთა კომისარიატში შესდგა საუწყებათაშორისო კომისიის პირველი სხდომა შინაგან საქმეთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახკომსაბჭოს, საქართველოს საგანგებო კომისიის და ქალაქკომის წარმომადგენლებისაგან, კომისიას ევალება საქ. რევკომის უშრომელ ელემენტებისაგან თბილისის განტვირთვის დეკრეტის ცხოვრებაში გატარება.

პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა კომისიის პრეზიდიუმი შინაგან საქმეთა სახკომის წარმომადგენლის ამხ. სადამოხიშვილის თავმჯდომარეობით, რომელსაც მიენდო ინსტრუქციის გამომუშავება სასწრაფოთ.

◆ **ბერძენთა გადასახლება.** წალკის რაიონიდან და საზოგადოთ ბორჩალოს მაზრიდან მაკედონიაში და ფრაკიაში (საბერძნეთი) გადასასახლებლად მიმავალი ბერძენთა დასახმარებლათ საქ. რევკომმა გადასდო 500 მილიონი მანეთი. ყველა ბერძენი მცხოვრები ბორჩალოს მაზრიდან გადასახლების საქმისთვის 45,000 კაცამდეა. მათ ნება ეძლევათ ნახევარი თავიანთი ცოცხალი თუ მკვდარი ინვენტარის გატანისა და მეორე ნახევრის ადგილობრივად გაყიდვისა.

◆ **ცეცხლის მქრობელთა ინსპექცია.** თფილისის ცეცხლისმქრობელთა რაზმის უფროსი ა. თ. ბერიძე დაინიშნა საქართველოში ცეცხლის საქმის ინსპექტორად და ინსტრუქტორად, თფილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის უფროსის თანამდებობაზე დატოვებით.

◆ **ქართოფილის დამზადება.** სახ. სას. კომისარიატმა სასურველად დაინახა, რათა ჩრდილო კავკასიაში დამზადებულ იქმნას კარტოფილი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქართოფილი დაჯდება უფრო იაფად, ვინემ მისი დამზადება ახალციხის მაზრაში.

◆ **ყირიმის მარილი.** ამხ. ადამაია გაიგზავნა მოსკოვში მუშათა კოოპერატიული ყრილობის დასასწრებლათ. მასვე მინდობილი აქვს მიიღოს სასწრაფო ზომები ყირიმიდან მარილის გადმოსატანად.

◆ **გოგირდის და შაბიამანის გაყიდვა.** მიწადმოქმ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გაყიდოს კომისარიატის მარაგიდან კოოპერატივების საშუალებით გოგირდი და შაბიამანი, ფუთი 200—250 ათას მანეთად.

◆ **ღვინოს და კონიაკის გაყიდვა.** მიწადმოქმედების კომისარიატის კოლეგიამ გამოარკვია, რომ 1922 წ. 1 იანვრამდე კომისარიატის სარდაფებიდან შეიძლება გაყიდულ იქნას 67.000 ვედრო ღვინო და 6000 ბოთლი კონიაკი. გადაწყვეტილია ეს გაყიდვა მოხდეს შეძლებისდაგვარად ხილდ ანგარიშზე, საგარეო ვაჭრობის და კოოპერატივების საშუალებით.

◆ **ს. სამეურ. ჟურნალი.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გამომცემლობის ქვედაგანყოფილებამ გამოუშვა მეორე ნომერი პოპულიარული ჟურნალი „სოფლის მეურნე". ჟურნალი შეიცავს ორ დაბეჭდილს ფურცელს, გარდა ყდისა. ჟურნალში მოთავსებულია: მოწინავე წერილი „რა ექირვება აგრონომს", ი. ზ. ანდრონიკაშვილისა და ორიგინალური სტატიები: აგრონ. გ. კერძელიშვილისა—კარაქის მოქცევა და ყველის ხარშვის [illegible], ვ. პ. ივანოვისა—მებაღეობა [illegible], აგრ. ტ. მეგრელიშვილისა—[illegible]; თბილისის ქალ. რევკომის [illegible] კომისიის [illegible]. ორიგინალურ სტატიების გარდა ჟურნალში არის ქრონიკის განყოფილებაც.

პარტიული ცხოვრება

სიღნაღის მაზრა

უპირველესი და ამავე დროს აუცილებელი სასწრაფოდ გასატარებელი ჩვენს ცხოვრებაში, არის მშრომელი კლასის ფართო მასის აღზრდა, განვითარება და გამსჭვალვა კომუნისტური იდეით ვინაიდან სოციალისტურ-კომუნისტურ ცხოვრებაში გადასვლის, ერთად ერთ სწორ, და ადვილად გასავლელ გზას წარმოადგენს საბჭოთა სისტემის მართველობა, და საბჭოთა სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობა კი ძალუძს მხოლოდ კომუნისტს.

ამისათვის მთელი ძალ-ღონე და ენერგია პარტიული, მიმართული უნდა იყოს, სრულებით განუვითარებელ და დაბეჩავებულ, თვითმპყრობელების და მენშევიკების წყალობით, პროვინციის მშრომელი მასისკენ, რომელიც დღემდის გამოურკვეველია პოლიტიკურათ და დიდი ხანი და [illegible] დასჭირდება, რათა გარკვეულად დაიჭიროს ადგილი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სიღნაღის მაზრაში სწორედ ამ გზით მუშაობას ეჩნევა საიმედო ნაპერწკლის ჩასახვა, ჩვენს რიგებში სდგებიან ოდნავ შეგნებით და გარემოების მიხედვით ღარიბი გლეხები და მუშები. არც ერთი რაიონი არ არის ისე დარჩენილი, სადაც ჩვენს პარტიას არ ეჩინოდეს თანდათანობითი ზრდა და გაფართოვება, [illegible], ღარიბ, მშრომელი ამხანაგების ჩვენთან მოსვლით და კომუნისტურ იდეის გულში ჩანერგვით.

ცენტრმა საჩქაროდ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ მიმართულებას და არ დაიზოგოს საკმაოდ მომზადებული ძალები პროვინციისთვის. ჩვენს რიგებში სდგებიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც არსებითად ჩვენთან უნდა იყვნენ, მხოლოდ მათ სჭირდებათ აღზრდა, და სწორი გზით წაყვანა მათი პოლიტიკურ შემეცნებისკენ.

სიღნაღის მაზრის ზოგიერთ რაიონებში, კონტრ-რევოლიუციონური პროვოკაციით იყო [illegible] ხალხი, მაგრამ ჩვენ ვძლიეთ, და ეხლა იქ მხურვალე მუშაობაა ჩვენი. არსდება იაჩეიკები, სწრაფი კავშირით გადაჯაჭვული ერთმანეთთან და მშრომელ მასასთან. ეხლად შემდგარი იაჩეიკები იმდენ მუყაითობას იჩენენ, რომ ჰმართავენ (იაგალ. ღლიღოხის რაიონში) თითქმის ყოველ კვირა შაბათობას და ამით დიდ დახმარებას უწევენ ღარიბ და დაზარალებულ მაცხოვრებლებს.

ასეთია ჩვენი მუშაობის დროებითი ნაყოფი, რომელიც უტყუარ იმედის სხივებს იძლევა უკეთეს მომავლისას, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

—

აბაშა

1921 წ. 26 ივნის. მოხდა კრება კვათანის თემის პარტკომისია და რევკომის და მასთან ყველა პარტიული ამხანაგების, კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. მიხა კაჭარავა და მდივნათ: მექი გვარამია, დღის წესრიგში იქმნა დასმული შემდეგი საკითხები.

1) კვათანის თემის რევკომის მდგომარეობა და სურსათ სანოვაგის მოგვარების საქმე.

2) რაიონული მილიციონერების მოქმედების შესახებ.

3) პარტიული მუშაობის საქმიანობის შესახებ.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რევკომის თავმჯდომარემ აკაკი გვაზავამ, რომელმაც გააცნო ამხანაგებს, კვათანის თემის დამშეულ, სურსათის მხრივ, მისი უკიდურესი მდგომარეობა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, კრებამ დაადგინა; სანამ რევკომი ფინანსიური მხრით დახმარებას მიიღებდეს მაზრიდან, იმ დრომდე კვათანის თემის რევკომმა გასცეს განკარგულება, ადგილობრივ [illegible] შეძლებულ მცხოვრებლებზე, შეძლების დაგვარად მოკრიფოს სურსათი სახით ფული, კვათანის რევკომის საჭიროებისათვის, მხოლოდ ჩვენი დადგენილება ეცნობოს მაზრას. რაიონულ მილიციონერების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგ: გრიგოლ თოფურიამ, შემდეგ კრებამ საქმის გამოსარკვევათ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია: შაშუა კაჭარავა, ანტიფო ჩიჩავა, და სოფრო კაჭარავა. პარტიული ამხანაგების შესახებ, კრებამ; განიხილა პარტიული ამხანაგების ყოველგვარი მუშაობა და კრებაც კმაყოფილი დარჩა.

მექი აბაშელი.

წარმოებითი პროფკავშირებში

განათლების და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროსაგან.

1. კავშირის სასწრაფოდ შესადგენად წარმოების პრინციპის მიხედვით 21-დან 28 ივლისამდე დანიშნულია კავშირის წევრთა რეგისტრაცია.

2 კავშირში შედიან შემდეგი სექციები: 1. 1 და 2 საფეხურის სკოლები, საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები, კლინიკები ყრმათათვის, სახლები და სკოლები გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთათვის, რამდენადაც მათში სჭარბობს აღმზრდელობითი ელემენტი. 2. ბავშვთა მფარველობის დაწესებულებანი. 3. სკოლა და კურსები ახალგაზრდათა და დიდებისათვის. 4. კლუბები და ბიბლიოთეკები 5. სამკითხველო ქოხები. 6. სახალხო სახლები 7. სახალხო უნივერსიტეტები. 8. საავიტაციო პუნქტები, მატარებლები და გემები. 9. მუზეუმები და გამოფენები 10. სავარჯიშო მოედნები 11. სამეცნიერო დაწესებულებები. 12. უმაღლესი სასწავლებლები 13. სამხედრო სასწავლ.

14 ტეხნიკური და პროფესიონალური სასწავლებლები.

15. სახალხო და განათლების ინსტიტუტები.

16. სახალხო განათლების კომისარიატის და მისი ადგილობრივი დაწესებულებების მოსამსახურენი, სამხატვრო ფრთის გამოკლებით.

17. როსტას და ცენტროპეჩატის მუშაკნი.

3. რეგისტრაციას აწარმოებს ადგილობრივი კომიტეტი (იქ სადაც ადგილობრივი კომიტეტები არ არსებობენ, წინადადება ეძლევათ ადგილობრივ კომიტეტის წევრებს სულ მოკლე ხანში მიიღონ საანკეტო ფურცლები კავშირის ბინაზე: სასახლის ქ. № 5, ყოველ დღე 9—11 საათ.)

4. იმ დაწესებულებების თანამშრომლები, სადაც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ადგილობრივი კომიტეტები, უნდა გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ პირადად კავშირში ზემოთ აღნიშნულ დროზე.

საორგანიზაციო ბიურო.

—

ქ. ზუგდიდი.

5 ივლისს მოხდა ყველა საბჭოთა მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. აკ. ქავთარაძე, მდივნად ბაგ. უგულავა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება პროფკავშირთა კონფერენციაზე გაგზავნილ დელეგატისა, 2) სეკრეტარიატის მოხსენება წარსულ მოქმედების შესახებ, 3) ახალი სეკრეტარიატის არჩევა.

კონფერენციის შედეგებზე მოხსენებას აკეთებს სეკრეტარიატის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჯანაშია, რომელიც მკაფიოდ ეხება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წარმომადგენლის მოხსენებას კონფერენციაზე, აღნიშნავს თუ როგორი როლი უნდა ითამაშონ პროფ. კავშირებმა, როგორც პროლეტარულ სახელმწიფოს ისე სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში. აგრეთვე მომხსენებელი ეხება სასურსათო მდგომარეობას საბჭოთა რესპუბლიკაში.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს სეკრეტარიატის მდივანი შ. შენგელია, რომელიც აღნიშნავს რომ სეკრეტარიატმა ბევრი საქმის გაკეთება ვერ შეძლო, და ამ გარემოების მიზეზად მომხსენებელი ასახელებს იმას, რომ სეკრეტარიატის წევრებს უხდებოდათ სოფლებში მოგზაურობა სხვა და სხვა საქმისათვის. აგრეთვე სარევიზიო კომისია არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა სეკრეტარიატის მუშაობაში. სეკრეტარიატის მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია ახალი სეკრეტარიატი, რომელშიაც შედიან: ბეს. ბოგირაძე, იას. ჯანაშია, მელ. ხორავა, ი. ცხაკაია, შალვა დადიანი, ვლ. ცომეტია, შ. შენგელაია, კანდიდატებად: კ. ქუჩლორია, კ. უაფიანი, და მიხა კაკულია. სარევიზიო კომისიაში, არჩეულ იქნა: ს. ელიავა, ბაგ. უგულავა და არჩილ იზორია.

შორეული.

პროვინციაში.

ხონის მაზრის თემების თავმჯდომარეების კონფერენცია.

(დასასრული იხ. კომ. № 114.)

წითელ არმიის მაზნების შესახებ: მოხსენება გააკეთა ამხ. პოპოვმა, რომელმაც კონფერენციას მოულოცა წითელ-არმიელების სახელით. შემოიტანა წინადადება ფეხზე ადგომით პატივი სცენ იმ გმირებს, რომლებმაც თავი დასდეს დიდი რევოლიუციისათვის, აღნიშნავს რა წითელ არმიელების შემოსვლას საქართველოში, აღიარებს რომ არავითარი იმპერიალისტურ ზრახვებს წითელ არმიელები არ ისახავდა, ჩვენი მიზანი იყო და არის საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა: მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში მშრომელი ხალხი იხუთებოდა ბურჟუაზიის და მის ლაქიების მენშევიკების ბრჭყალებში, ჩვენ ხელი გაუწოდეთ და განვათავისუფლეთ იგი. ჩვენი მიზანია განვათავისუფლოთ ყველა ჩაგრული ერი, როგორც ევროპაში ისე აზიაში, რომლებს დიდი ხანია მსოფლიო ბურჟუაზიამ მძიმე უღელი დაადო. საბჭოთა რუსეთმა ომებში იგი დაამარცხა, მაგრამ არ ცხრება და ახალ ფრონტებს გვიხსნიდეს, ჩვენ ამას ვგრძნობთ და ახლა ვერ შევასწოროთ თავი სოციალისტურ რევოლიუციას, ხელიდან არ გაუშვათ წითელი დროშა, რომელიც აღმართა 17 ოქტომბერს 1917 წელს,—კონფერენციამ ტაშის ცემით დააჯილდოვა ამხ. პოპოვი. ამ მოხსენების შემდეგ კონფერენცია შემდეგ მისასალმებელ დეპეშას გზავნის მე-9 არმიის სახელზე: ხონის მაზრის თემთა თავმჯდომარეების კონფერენცია მხურვალედ ესალმება საქართველოს მშრომელ ხალხის განმათავისუფლებელ გმირ რუსეთის წითელ არმიას, გულწრფელი [illegible] ხით, რომ რუსეთის წითელი არმია, გამოსული [illegible] და მუშების [illegible] იმყოფება საქართველოში არა როგორც დამპყრობი საქართველოს ხალხისა, როგორც ამაზე ლაპარაკობენ ყველა გზა-ჯვარედინზე მშრომელთა მტერი, მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და სხვა მათი მსგავსი, არამედ როგორც დამცველი ახალგაზრდა ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ძალა უფლების საქართველოს მშრომელთა,—ჩვენ ვ დიდებთ, გაუმარჯოს სახელოვან წითელ არმიას, გაუმარჯოს ძლევამოსილს მსვლელობას ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად [illegible] დასავლეთით და აღმოსავლეთით მშრომელთა განთავისუფლებას კაპიტალიზმის უღლისაგან.

შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან და გამოირკვა, რომ პოლიტიკური მდგომარეობა მთელ მაზრაში მტკიცეა; ქურდობას და ავაზაკობას ადგილი არსად არა აქვს, გლეხობა კმაყოფილი არის მთავრობის პოლიტიკით, მხოლოდ ეკონომიურ კრიზის განიცდის ზოგიერთი რაიონი სახელდობრ მარტვილის, კურსის და სალხინო, საერთოდ მთიანი ადგილები, მარტვილის რაიონი დიდი ხანია დამშეულია და დახმარებას ღებულობს მაზრიდან; თუ შეწყდა დახმარება, ხალხს შიმშილი მოელის... მთიან ადგილების თემების დელეგატები სასოწარკვეთილ სურათს გვიხატავენ და მოითხოვენ დაუყოვნებლივ ხარჯების გადადებას—ვინაიდან გამოსავალ გზას არსაიდან მოელოდნენ. გამოირკვა აგრეთვე რომ ჯერ კიდევ სამეგრელოში არ ნახულა გვალვა თითქმის მთელი მაზრა ჩაუყენა საშიშ მდგომარეობაში, მიწების თითქმის ნახევარი დაუთესავია წვიმა არ ამოსულა და ახლო მომავალში თუ წვიმა არ ეღირსა მიდამოებს ყოველივე იმედი ეწურა და მოსავალის [illegible]. გამოირკვა აგრეთვე, რომ [illegible] პირველი ადგილი უჭირავს მაზრაში, [illegible] სხვა პირი უჩინს, ზოგიერთ რაიონებში სათანადო მიწიდან დაარსებულია „კომუნები" სხვა და სხვა სახელწოდებით, მაგალითად ნაქალაქევში არის დაარსებული რვა „კომუნა" კომუნის დაარსებით [illegible] ერთნაირი შეგნება შედის კომუნიზმის იდეების განახორციელებლად. მოხსენების შემდეგ კონფერენციამ გამოიტანა ერთ გვარი დადგენილება რომლის ძალით ევალება სამაზრო რევკომს მიიღოს ყოველ ნაირი ზომა დამშეულთა რაიონების დასაკმაყოფილებლად. აგრეთვე სოფლის კულაკების ექსპლოატაციის ძალით ჩამოერთვას ზედმეტი სურსათი. მომარაგების ორგანოს გაეწიოს ყოველნაირი დახმარება თემ და რევკომების მიერ, რათა ხელი შეუწყონ სურსათის დამზადებაში.

დამოკიდებულება თემთა რევკომებისა და პარტკომების შორის.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ვასო ჩაკვეტაძე, ის აღნიშნავს სამ წლის არალეგალურ მუშაობის ისტორიას და იმ მძიმე პირობებს, რომლებშიაც უხდებოდა მასებში მუშაობა კომუნისტურ პარტიას. ძალა უფლების გამოცხადებისთანავე პასუხის გება ისტორიამ ჩვენ გვკითხა და როდესაც ძალა უფლება ჩავიგდეთ, ჩვენი პარტია არ იყო შეკავშირებული, ამიტომ მუშაობის პროცესში არის ნაკლი, ეს არ უნდა დავფაროთ, თუ გვინდა, რომ პარტიამ სიცხადე მოიპოვოს. არა ლეგალური მუშაობამ ჩვენი ძალები დაასუსტა. დღეს ახალი ეპოქაა ჩვენთვის აღმშენებლობის მუშაობა, უნდა მოხდეს პარტიის გაწმენდა არასასურველ ელემენტებისაგან, მცირე ვიყოთ მაგრამ ვიყოთ კომუნისტები, რომ ძირს არ დაიწყოს წითელ დროშა:—ადგილობრივი პარტკომები უკვე არის ჩამოყალიბებული და სათანადო ღონეზე დაყენებული და თუ ამის შემდეგ მოხდა დისციპლინის დარღვევა, ყოველი წევრი სასტიკად პასუხს აგებს, ამისათვის საჭიროა ერთსულოვანი მუშაობა; [illegible] უნდა იქნას მიღებული ჩვენი როლი მოქმედებისა, ვინაიდან როგორც სახელმწიფოში მდგომი ჩვენი პარტია არის ამავე დროს სახელმწიფოებრივი ამიტომ ყოველივე ჩვენს საქმეზე არის პასუხის მგებელი. რევკომები პარტკომები—ეს ერთი განუყოფელი ორგანოა. არავითარი შუღლი ურთიერთშა არ უნდა იყოს და არავითარი განხეთქილება დაუშვებელი არის, პარტკომი როგორც ორგანიზაციული დაწესებულება არის ერთ გვარი კანონიერი სახელმწიფოებრივი მუშაობაში, მაგრამ თვითეული ორგანიზაციის მოვალეობა არ არის რომ რევკომები გადაყლაპოს, არის ცენტრი, მაზრა, რომლებიც [illegible] და სიმაგრე რევკომს, ჩვენ მაზრაში არ არის საშიში პოლიტიკური მდგომარეობა, თუ ჩვენ გავატარებთ ცხოვრებაში ცეკას და რევკომის დადგენილებას.

დამოკიდებულება სამაზრო რევკომისა და თემთა რევკომებს შორის.

ამის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კაპ. [illegible], რომელიც აღიარებს რომ სახელმწიფოებრივი გარდატეხების შემდეგ საჭიროა ახალი გეგმა მუშაობისა, ამიტომ სადაც ხდება გადატრიალება უპირველეს ყოვლისა [illegible] რევოლიუციონური კომიტეტები, რომლებიც აღჭურვილნი არიან პარტიის ნდობით მათი ვალია განამტკიცონ ძალ-უფლებები როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად. ცენტრი სცემს საერთო დეკრეტებს, რომლის გატარება თავზე უნდა იდვას სამაზრო და თემთა რევკომებმა. რევკომების მოვალეობაა ანგარიში გაუწიოს ადგილობრივ მდგომარეობას და თავისი მუშაობა უნდა შეუფარდოს ცენტრს. საჭიროა წესწყობილების განმტკიცება, ამიტომ საჭიროა როგორც პარტიამ უნდა შეაკავშიროს მასსები, ისე რევკომებმა უნდა განამტკიცოს საბჭოთა ძალა-უფლება, რომ ჩვენში შევინარჩუნოთ მთლიანობა, საჭიროა დისციპლინა, ცხოვრებაში გატარება ცენტრის და მაზრის განკარგულებანი. მაზრა ცენტრის დაუკითხავათ არავითარ განკარგულებას არა სცემს, მაზრის განკარგულება კი უნდა იქნეს შესრულებული, რომ აღარ მოხდეს არევ-დარევა, ამიტომ საჭიროა რკინის დისციპლინა. დისციპლინის აღიარებით ჩვენ გავამაგრებთ როგორც პარტიას, ისე საბჭოთა ძალა-უფლებას. ამიტომ საჭიროა მეტი შრომა, მეტი ენერგია, ამიტომ თემების რევკომებმა არავითარი ნაბიჯები არ უნდა გადადგას სამაზრო რევკომის დაუკითხავათ, ადგილობრივ ადმინისტრაციამ არ უნდა ჩაერიოს რევკომების საქმეებში. ადმინისტრაცია არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ებრძვის ქურდ-ბაცაცებს და კონტრ-რევოლიუციას, ხოლო რევკომების დადგენილების დარღვევა არ ძალუძს ადმინისტრაციას. თუ ჩვენ შეთანხმებულათ ვიმუშავებთ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მტერი როგორც შიგნით, ისე გარეშე არას დაგვაკლებს.

საბჭოთა დაწესებულებათა საყურადღებოთ

(წერილი რედაქციის მიმართ).

სახალხო სასურსათო კომისარიატი გთხოვთ გამოაქვეყნოთ გაზეთში, რომ სახ. სას. კომისარიატის კოლლეგიის დადგენილებით სახსურკომში სამსახურიდან განთავისუფლებულნი არიან შემდეგი თანამშრომლები: ოლღა დავითის ასული კაზლოვსკაია, სერგო არტ. გასან ჯალალოვი, ბარბარე ივანეს ასული ვაჩნაძე, ავეტის არტ. გასან ჯალალოვი, პეტრე ალექსანდრეს ძე წერეთელი, გერმ გედელეს ძე გონტმახერი, გაბრიელ ალექსანდრეს ძე ყარაევი, ალექსანდრე სტეფანეს ძე მარტიროსიანი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ცურინოვი, დიმიტრი ლაზაძე, არშაკ მინასის ძე ტერ-ოსიპიანი, დავით ივანეს ძე ბეჟუაშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [illegible], ალექსანდრა ბესარიონის ასული ქართველიშვილისა, ვერა იოსების ასული კორსაკოვი და ალექსანდრე გიორგის ძე თარხან მოურავი—მათი არა საქმიანობის გამო.

აღნიშნულ თანამშრომლების რიცხვიდან—საქონლის განყოფილების ყოფ. გამგე არშაკ მინასის ძე ტეროსიპიანცი მიცემულია სასამართლოში, რადგანაც მას ბრალდება სხვა და სხვა ბოროტმოქმედებები, და მისი საქმე ეხლა საქართვ. საგანგ. კომისიას აქვს გადაცემული. იმისთვის, რომ ეს გარემოება იცოდნენ სხვა და დაწესებულებებმა, რომლებსაც შეიძლება ამ პირებმა მიმართონ სამსახურში მიღების შესახებ—სახ. სას. კომისარიატი საჭიროთ სთვლის გამოაქვეყნოს თავის დადგენილება პრესაში და გთხოვთ მოათავსოთ იგი თქვენს გაზეთში.

სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლლეგია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 55.

ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა რესპუბლიკის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის დისციპლინარული და ადმინისტრატიული სასჯელის დაწესების შესახებ.

რათა საბჭოთა დაწესებულებებში სამსახურის დისციპლინა განმტკიცებული იყოს და თანამშრომელთა შეგნება სამსახურის მოვალეობისა სათანადო სიმაღლეზე იდგეს, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული წესი იმ მოსამსახურეთა დასჯისა, რომელნიც დაარღვევენ სამსახურის წესრიგს;

1. დისციპლინარული წესით დასჯის უფლება: ა) ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წევრისა, იმის განურჩევლად—გამგეა იგი განყოფილებისა თუ არა,—ეკუთვნის საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს; ბ) თემის და რაიონის რევოლიუციონური კომიტეტის წევრის დასჯა—მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს.

2. დისციპლინარული წესით დასჯის უფლება აქვს სახალხო კომისარს თავისი უწყების ყველა ცენტრალური და სხვა ქვემდებარე დაწესებულებების ყოველი მოსამსახურისა;—ხოლო კოლეგიის წევრს—იმ განყოფილებათა და ქვეგანყოფილებათა მოსამსახურისა, რომელთაც თვით განაგებს.

შენიშვნა: ყოველი შემთხვევა დისციპლინარული დასჯისა უნდა მოხსენდეს კომისარიატის კოლეგიას უახლოეს სხდომაზე.

3. იგივე დისციპლინარული წესით დასჯის უფლება აქვს მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს ყველა მისი ქვემდებარე დაწესებულების და განყოფილების მოსამსახურისა; განყოფილების გამგეს—კი შეუძლიან დასაჯოს მხოლოდ განყოფილების მოსამსახურე.

4. ცნობა ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წევრის დისციპლინარული წესით დასჯის შესახებ ეგზავნება სათანადო რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმს, ხოლო მოსამსახურის ამგვარივე დასჯის შესახებ განყოფილების გამგეს.

5. ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ და თანამდებობის პირთა უფლება აქვთ შემდეგი სასჯელის დადებისა:

ა. საყვედური.

ბ. საყვედური—გაზეთებში გამოქვეყნებით.

გ. დაპატიმრება ორ კვირამდე.

დ. სამსახურიდან გადაყენება.

შენიშვნა: დისციპლინარული წესით დაპატიმრებისა და სამსახურისაგან გადაყენების უფლება არა აქვთ განყოფილების გამგეთ.—აგრეთვე მაზრის რევოლიუციონურ კომიტეტის პრეზიდიუმს არა აქვს უფლება დისციპლინარული სასჯელის სახით—სამსახურისაგან გადაყენებისა.

6. დისციპლინარული სასჯელის დადების შესახებ ჩაიწერება იმ დაწესებულების განსაკუთრებულ დავთარში,—სადაც მსახურობს სასჯელდებული და აგრეთვე მის პირად სამსახურეობის სიაში.

8. უკეთუ დაპატიმრებით სასჯელდებულს სასწრაფო საქმე აქვს და ამას ერთხმად სცნობს მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის პრეზიდიუმი,—შეიძლება სასჯელის მოხდის ვადა ერთის კვირით გადაიდოს. მეტის ხნით დასჯის შეჩერება ექვემდებარება მხოლოდ იმ დაწესებულებას ან თანამდებობის პირს, რომელმაც განუჩინა სასჯელი.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 14.

თბილისი სასახლე.

დადგენილება № 42.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ამა 1921 წლის ივნისის 10-ს დადგენილების (ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს დაარსებისა) მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამა 1921 წლის ივნისის 10-ს დადგენილების (№ 26) მე-3 მუხლის შესაცვლელად და განსავითარებლად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მიენდოს საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო სამმართველოს გამგეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს ან მის მოადგილეს მოიწვიოს ხოლმე ცენტრალურ საევაკუაციო სამმართველოსთან, საჭიროებისდაკვალად, თვისი გადაწყვეტილებისამებრ, თათბირი დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელთაგან.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

1921 წ. ივლისის 14.

ტფილისი სასახლე.

რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

დადგენილება № 43.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო თათბირის დაარსების შესახებ.

I. რათა რესპუბლიკის ეკონომიური ხასიათის ყველა სახალხო კომისარიატის მოქმედება დამყარებული იყოს ერთ შეთანხმებულ საფუძველზე,—მათი მუშაობა სასურსათო საქმეში და იმ დარგის თანახმად სხვა დარგებში სწარმოებდეს თანხმობით ეკონომიური პოლიტიკის საერთო მიმართულებისამებრ, და მოსპობილ იქნეს ის საუწყებათაშორისო წინააღმდეგობანი, რომელიც [illegible],—[illegible] სასურსათო თათბირი საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და სასურსათო სახალხო კომისრისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის შემადგენლობით.

II. სასურსათო თათბირს ეკუთვნის:

1. სასურსათო პოლიტიკის მიზნისა და საგნის გათვალისწინება და უმაღლესი ხელმძღვანელობა მათი განხორციელებისათვის.

2. მთელი სასურსათო აპარატის გაერთიანება (უნიფიკაცია).

3. სასურსათო პროდუქტების, ფართო მოხმარების საგანთა და სახალხო მეურნეობის წარმოების ნედლი მასალის დამზადებისათვის საშუალებათა აღმოჩენა.

4. იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამოკვლევა, რომელიც ხელს უშლის სასურსათო მუშაობის ნაყოფიერებას და ამ მიზეზთა მოსპობა.

5. კოოპერაციის დახმარება და ხელშეწყობა საჭირო საგანთა დასამზადებლად.

III. სასურსათო თათბირის ყოველი ბრძანებისა, დადგენილებისა და განკარგულების დაუყოვნებლივ აღსრულება სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა უწყებისა, დაწესებულებისა თანამდებობის და კერძო პირისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

IV. სასურსათო თათბირს უფლება აქვს გადააყენოს თანამდებობისაგან ყოველი პირი, რომელიც შენიშნული იქნება სასურსათო და სატრანსპორტო ხასიათის ბოროტმოქმედებაში, ან მისი დადგენილების აღუსრულებლობისა ან და არამიზანშეწონილი აღსრულებისათვის და ამასთანავე აღძრას მის წინააღმდეგ ბრალდება სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით.

V. სასწრაფო ხანდაუზმელი საკითხის გადაწყვეტა მიენდობა სასურსათო თათბირის თავმჯდომარეს, სასურსათო სახალხო კომისარსა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან შეთანხმებით. ამასთანავე, დადგენილება ამ საკითხების შესახებ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სასურსათო თათბირს არა უგვიანეს ერთი კვირისა.

VI. სასურსათო თათბირის სხდომები იმართება ყოველ კვირა.

VII. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

სასურსათო სახალხო კომისარის მოადგილე ა. ერქომაიშვილი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ივლისის 14.

ტფილისი სასახლე.

თანახმად უმაღლეს ს. ს. ს. პრეზიდიუმის დადგენილებისა ამა წლის 20 ივლისის თარიღით ს. მთ. კომიტეტის სასინჯო განყოფილება ამით აცხადებს, რომ სასინჯო გადასახადი ოქრო-ვერცხლის ნაწარმოებზე გადიდებულია შემდეგნაირად:

ოქროზედ:

საქ. რესპუბლიკაში ნაწარმოებზედ (მისხალი) . .	3000 მ.
უცხოეთში დამზადებულ ნაწარმოებზედ (მისხ.) . .	5000 მ.
საათი 33 ნახ. მილიმ. ციფერბლატით . .	100000 მ.
„ 33 ნახ. „ ნაკლები ციფერბლატით . .	60000 მ.
ზოდი . . . მისხალი .	600 მ.
ოქროს ფურცლები ქაღალდით მისხალი . .	600 „
„ „ უქაღალდოთ.	1000 „
წინასწარი თითო სინჯი	20000 „

ვერცხლი:

საქ. რესპუბლიკაში ნაწარმოებზედ მისხ. . .	800 მ.
უცხოეთში ნაწარმოებზე მისხ.	500 მ.
საათები . .	20.000 მ.
ზოდი მისხალი. .	200 მ.
ფურცლიანი ქაღალდით	300 „
„ უქაღალდოთ .	1000 „
წინასწარი სინჯი მუფელით	20000 მ.
„ „ გეილ-უსაკის წესით	30000 მ.

გარდა ამისა:

1) ყველა იმ ნივთებზე, რომელზედაც არ ექნება დასმული საქართველოს განსაკუთრებული სინჯი ჩაითვლება სრულიად უსინჯოთ და დამნაშავენი დაისჯებიან თანახმად რევოლიუციონური კანონებისა.

2) სასინჯო წესდების 60, 61 და 62 მუხლ. დაჯარიმება გადიდებულია 100.000 მანეთამდე.

სამთო კომიტეტის გამგე ინჟ. ივ. უფშიძე.

სასინჯო განყოფილების გამგე ა. ნიშნიანიძე.

სარედაქციო კოლეგია.

ბრძოლა ეპიდემიასთან

ყველა ექიმებს და საექიმო პერსონალს, რომელთაც აწარმოვეს ხოლერის წინააღმდეგ აცრა, ევალებათ მოკლე ხანში წარმოადგინონ ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებაში (განოვის ქ. № 22) სია ყველა იმ მოქალაქეთა, რომელთაც მათ აუცრეს აღნიშნით: დაწესებულებისა, გვარი და სახელისა, რიცხვი პირველი და მეორე აცრისა და დოზა.

ხოლერის მსვლელობა თბილისში

14 ივლისის დილის 9 საათიდან 15 ივლისის დილის 9 საათამდის. ავათ გახდა ხოლერით 15 კაცი.

განაწილება უბნებზე.

1 უბანში—0, 2 უბ.—0, 3 უბ.—0, 4 უბ.—1, 5 უბ.—0, 6 უბ.—1, 7 უბ. 0, 8 უბ. 1, 9 უბ. 2, 10 უბ. 3, 11 უბ.—1, 12 უბ.—0, 13 უბ.—0, 14 გამოურკვეველია—6.

დასკვნა.

14 ივლისს ავათ გახდა ხოლერით 15 კაცი, ამათგან ცენტრალურ უბანში—7 კაცი—46,7 პროც. განაპირა უბ.—2,—13,3 პროც. გამოურკვეველ უბ.—6 კაცი—40,0 პროც. წინეთ მიღებულ ავათმყოფთაგან 14 ივლისს გარდაიცვალა—7 კაცი, გაეწერა—3.

13 ივლისის დილის 9 საათიდან 14 ივლისის დილის 9 საათამდის ავათ გახდა ხოლერით 19 კაცი.

განაწილება უბნებზე.

1 უბანში—0, 2 უბ.—1, 3 უბ—0, 4 უბ.—3, 5 უბ.—2, 6 უბ.—0, 7 უბ.—1, 8 უბ.—0, 9 უბ.—2, 10 უბ.—0, 11 უბ.—0, 12 უბ.—0, 13 უბ.—0, 14 გამოურკვეველი—10.

დასკვნა.

13 ივლისს ავათ გახდა ხოლერით 19 კაცი, ამათგან ცენტრალურ უბანში—6 კაცი—31,6 პროც. ხოლო განაპირა უბანში 3 კაცი—15,8 პროც. გამოურკვეველ უბ.—10 კაცი—52,6 პროც. წინეთ მიღებულ ავათმყოფთაგან 13 ივლისს გარდაიცვალა 13 კაცი, გაეწერა—11 კაცი.

ხოლერის მსვლელობა თბილისში.

11 ივლისის დილის 9 საათიდან 12 ივლისის დილის 9 საათამდის ავათ გახდა ხოლერით 24 კაცი.

განაწილება უბნებზე.

1 უბანში—1, 2 უბ.—0 3 უბ.—0, 4 უბ.—0, 5 უბ.—2, 6 უბ.—1, 7 უბ.—0, 8 უბ.—1, 9 უბ.—5, 10 უბ.—1, 11 უბ.—0, 12 უბ.—2, 13 უბ.—0, 14 გამოურკვეველი—11 კაცი.

დასკვნა.

11 ივლისს ავათ გახდა ხოლერით 24 კაცი, ამათგან ცენტრალურ უბანში—7 კაცი—29,2 პროც. განაპირა უბ.—6 კაცი—25,0 პროც. გამოურკვეველ უბ.—11—45,8 პროც. წინეთ მიღებულ ავათმყოფთაგან 11 ივლისს გარდაიცვალა—10 კაცი, გაეწერა—8 კაცი.

განცხადებანი

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136 თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3 მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5 58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9 52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

თანახმად რუსეთის ჯანმრთელობის კომისარიატისაგან მიღებულ ცნობისა, [illegible] აცხადებს, რომ წელს სამედიცინო ფაკულტეტზე რუსეთში და უკრაინაში ქართველ სტუდენტების მიღება არ იქნება. ეს განკარგულება არ ეხება იქ ქართველ სტუდენტებს, რომელნიც უკვე აღნიშნულ სამედიცინო ფაკულტეტებზე სწავლობენ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: კუპ[illegible]ძე.

საქმეთა მმართველი ი. ელიაშვილი.

ვთხოვთ პროვინციის გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განცხადება.

კვირას, 25 ივლისს დილის 10 საათზე არტისტული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ადგილობრივი კომიტეტების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და პროფკავშირთა გამგეობების თანდასწრებით შესდგება გაგრძელება შრომის დაცვის კომისიის

კონფერენციისა.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

პრეზიდიუმი.

ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სარედაქციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 10,000 ნ. დ. ს. ც. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.